საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გერი ელენე ივანეს ასული

გერი ელენე ივანეს ასული (6. IX. 1910, ფოთი), პედიატრი, ჩვილ ბავშვთა კვების მეცნ. შესწავლის ერთ-ერთი ფუძემდებელი საქართველოში. მედ. მეცნ. დოქტორი (1972).

1933 დაამთავრა თბილ. სამედ. ინ-ტი. 1949–59 ხელმძღვანელობდა ჯერ ინფექციურ, შემდეგ კი ჩვილ ბავშვთა ფიზიოლ. და აღზრდის განყ-ბას დედათა და ბავშვთა სამეცნ.-კვლ. ინ-ტში. 1959–85 იყო პედიატრიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის ჩვილ ბავშვთა კვებისა და ჰიგიენის განყ-ბის ხელმძღვანელი, 1985-იდან მეცნიერ-კონსულტანტია.

გ. იყო ჯერ თბილ. ოლქის, ხოლო 1953–60 – თბილ. მთავარი პედიატრი. 1974–80 საქართვ. ჯანდაცვის სამინისტროს მთავარი სპეციალისტი ბავშვთა კვებაში. აქვს სსრკ გამოგონებათა და აღმოჩენათა სახელმწ. კომიტეტის 2 საავტორო მოწმობა (ბავშვთა კვებაში). ჩვილ ბავშვთა კვებაში გამოიყენა ეროვნ. პროდუქტები (მაწონი, ნადუღი, სიმინდის ფაფა) და შექმნა ამ პროდუქტებისაგან ახ. საბავშვო ნარევები, რ-ებსაც იყენებენ როგორც კვების, ისე რაქიტისა და დიათეზის მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის. შექმნა კვების ასაკობრივი სქემები და სხვ.

თხზ.: ერთ წლამდე ასაკის ბავშვის კვება, თბ., 1979.